ააიპ „ჯანდაცვის ასოციაციის“ ეთიკის პრინციპები

წინამდებარე დოკუმენტით, ჩვენ, ააიპ „ჯანდაცვის ასოციაციის“ წევრი კომპანიები, ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას, ჩვენი ყველა ქმედებით, რომელიც დაფუძნებული იქნება ეთიკურ პრინციპებზე, ხელი შევუწყოთ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებას.

საქმიანობის მანძილზე, ასოციაცია ხელს შეუწყობს ბაზარზე ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას მიიღებენ დარგის სპეციალისტები.

ჩვენი ამოცანაა ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით და საზოგადოების ჩართულობით ჯანდაცვის სფეროს გაძლიერება და პაციენტის უფლებების დაცვა.

წინამდებარე ეთიკის დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ჯანდაცვის ასოციაციის წევრი ყველა ორგანიზაციისთვის.

დოკუმენტი დაფუძნებულია შემდეგ ფასეულობებზე:

- კეთილსინდისიერება – როგორც სხვა წევრ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისას;
- ანგარიშვალდებულება – საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ქონა საზოგადოებისა, ასოციაციის წევრი ორგანიზაციების და პარტნიორების წინაშე;
- კონფიდენციალობა - ასოციაციის შიგნით არსებული მიმოწერა, სხდომის/შეხვედრის ოქმები და შეხვედრების დროს წარმოთქმული მოსაზრებები კონფიდენციალურია და მისი დაცვა ევალება ასოციაციაში შემავალ ყველა წევრს. ინფორმაციის გამხელა დასაშვებია, თუ აღნიშნული შეთანხმებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან;
- გამჭვირვალობა - ღიად მოქმედება ასოციაციის საქმნიანობისას და ინფორმაციის გაზიარება სხვა წევრებისთვის;
- თანასწორობა - ასოციაციის ყველა წევრი თანასწორია და აქვთ ნებისმიერი საკითხის დაყენების უფლება.

ასოციაციის წევრი კომპანიები/ასოციაციები თანხმდებიან, რომ წევრობის მთელი დროის მანძილზე დაიცვან შემდეგი პრინციპები:

1) იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით;
2) ხელისუფლებასთან ურთიერთობისას გამოვიდნენ თანასწორუფლებიან პარტნიორებად და დაიცვან სხვა წევრების ინტერესი;
3) პარტნიორებთან ურთიერთობისას დაეფუძნონ ურთიერთპატივისცემას, მიღწეული შეთანხმების დაცვას და მისწრაფებას, თავიდან აიცილონ იძულებითი ნაბიჯების გადადგმა;
4) საზოგადოებასთან ურთიერთობისას ორიენტირებული იყვნენ პროგრესზე;

5) ასოციაციის საქმიანობასთან და ასოციაციის დღის წესრიგში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, საჯარო გამოსვლისას იმოქმედონ სხვა წევრების ინტერესების და შეთანხმების გათვალისწინებით. საჯარო გამოსვლა გულისხმობს, როგორც მედიასთან ურთიერთობას, ისე აქტივობას სოციალურ მედიაში;
6) საქმის კურში ჩააყენოს ასოციაციის წარმომადგენელი მედიაინტერვიუს (საგაზეთო, სატელევიზიო და სხვა) ან სხვა შესაძლებლობის შესახებ ჯანდაცვის ასოციაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
7) საჯარო გამოსვლებში გახმოვანებული ინფორმაცია უნდა მიესადაგებოდეს და ასახავდეს ასოციაციის წევრებს შორის შეთანხმებულ შინაარს.

ააიპ „ჯანდაცვის ასოციაციის“ ეთიკის პრინციპების დოკუმენტი ხელმოსაწერად და შესასრულებლად აუცილებელია ასოციაციის წევრი ან წევრობის მსურველი ყველა კომპანიისათვის და მისი დაცვა სავალდებულოა წევრობის მთელი დროის მანძილზე.